საყოველთაო ჯანდაცვის ადვოკატირება: ახალი მასალები (Toolkit) ეროვნული საზოგადოებისთვის

სამშაბათი, 28 სექტემბერი 2021

8:00-9:00am New York | 2:00-3:00pm Geneva | 3:00-4:00pm Nairobi | 7:00-8:00pm Bangkok

[რეგისტრაცია]

შეხვედრა Zoom პლატფორმაზე ინგლისურად სინქრონული თარგმანით ფრანგულ, ესპანურ და საერთაშორისო ჟესტების ენაზე.

[სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმმა საყოველთაო ჯანდაცვისთვის -2030 (SCEM-ის (Civil Society Engagement Mechanism for UHC2030))] შეიმუშავა „საყოველთაო ჯანდაცვის ადვოკატირება: სამოქალაქო საზოგადოების ახალი ინსტრუმენტარიუმი“ ([https://csemonline.net/uhc-advocacy-toolkit/]), სამოქალაქო საზოგადოებების ცნობიერების დონის, ჩართულობისა და მობილიზების გასაძლიერებლად გლობალურ დონეზე საყოველთაო ჯანდაცვის (UNIVERSAL HEALTH COVERAGE (UHC)) მოძრაობის მხარდასაჭერად. მასალები ემყარება კონცეფციას, რომლის თანახმად ჯანმრთელობა არის ყველა ადამიანის უფლება და საჭიროა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საყოველთაო ჯანდაცვაზე (UHC) საუბარი ჯანდაცვის სისტემას გასცდეს და ადეკვატურად ასახოს ადამიანებისა და თემების რეალობა.

UHC2030-ს და APCASO-ს თან ერთად შეხვედრის თანაორგანიზატორებია: Aidsfonds, საქართველოს წითელი ჯვარი, გლობალური ჯანდაცვის საბჭო, GNP+, IFRC, Living Goods, Love Alliance, Management Sciences for Health, NCD Alliance, UNAIDS, WACI Health და White Ribbon Alliance Kenya. ეს ღონისძიება ოფიციალურად შეუწყობს ხელს მასალების გამოცემას ინგლისურად, ფრანგულად და ესპანურად. დისკუსიები მოიცავს ეროვნული საზოგადოების მხრიდან UHC-ს ადვოკატირებას და მის ზეგავლენას, უნივერსალური ჯანდაცვის ადვოკატირების მასალების კონცეფციას, მისი გამოყენების გზებსა და იმ საჭიროებებს, რომელთა მართვაც შესაძლებელია მასალების მეშვეობით.

მომხსენებლები:

- კოლინზ მასინდე — *თავმჯდომარე, ახალგაზრდები მდგრადი განვითარებისათვის - ბუნგომა, კენია*
- ელიანა მონტეფორტე — *სპეციალური პროექტების დირექტორი, გლობალური ჯანდაცვის საბჭო*
- ჯასტინ კოონინი — *თანათავმჯდომარე, UHC2030 მმართველი კომიტეტი*
- **ნათია ლოლაძე** — ***პრეზიდენტი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება***
- RD მარტე — *აღმასრულებელი დირექტორი, APCASO*
- სამუელ მაციკურე — *პროგრამის მენეჯერი, GALZ, ზიმბაბვე*

ინსტრუმენტთა ნაკრები წარმოადგენს ინფორმაციას და ინსტრუმენტებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის საყოველთაო ჯანდაცვის (UHC) ადვოკატირებისათვის, პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის და ვალდებულებების განსაზღვრისთვის, და ასევე საყოველთაო ჯანდაცვის მისაღწევად მხარს უჭერს ფართო სოციალურ მოძრაობას.
ინსტრუმენტარიუმი გამოსადეგია სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, რომლების სხვადასხვა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად ადვოკაციას ეწევიან.